

საქართველოს კანონი
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში
(საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №13-14, 1998 წელი, გვ. 227)
შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 44-ე მუხლის 48-ე და 49-ე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„48. საპროცესო კონფისკაცია – იმ ნივთის ჩამორთმევა, რომლის ფლობა, დამზადება, გამოყენება, ტარება, შენახვა, გადაგზავნა, გადაზიდვა, გასაღება წარმოადგენს დანაშაულს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით და რომელიც ხორციელდება სასამართლოს დადგენილების საფუძველზე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის მიუხედავად.

49. ქონების ჩამორთმევა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასჯელის სახე.“.

2. 124-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) თუ ჩამორთმევას დაქვემდებარებულ დანაშაულის საგანს ან/და საშუალებას ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ნივთს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება, ხოლო თუ მას აქვს ღირებულება, იგი გადაეცემა სახელმწიფოს;“.

ბ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ნივთიერი მტკიცებულების გაფუჭების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში, მისი მესაკუთრე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას. ეს წესი არ ვრცელდება ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება საპროცესო კონფისკაციას, ასევე მსჯავრდებულის ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება ჩამორთმევას ან სამოქალაქო სარჩელის ანაზღაურებას.“.

3. 190-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სარჩელის, საპროცესო კონფისკაციის, სისხლის სამართლებრივი იძულებითი ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, სასამართლოს შეუძლია გადალა დაადოს ექვემიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ქონებას, მათ შორის საბანკო ანგარიშებს, თუ არის მონაცემები, რომ ქონებას გადამაღავენ ან დაზარავენ, ანდა რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თუ არსებობს მონაცემები იმის თაობაზე, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ ამ ქონების მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია დააყადოს ამ ქონების ექვივალენტური ღირებულების ქონება. ამ ნაწილში მოთითებული პირობების არსებობისას, თუ ექვემიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი თანამდებობის პირია, პროკურორი ვალდებულია აღძრას შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე თანამდებობის პირის ქონების, მათ შორის საბანკო ანგარიშების, დაყადების, აგრეთვე თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს სახელით დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეჩერების ან სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.“.

4. 412-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) მიღებულია თუ არა ზომები წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის, შესაძლო ქონების ჩამორთმევის ან საპროცესო კონფისკაციის უზრუნველსაყოფად;“

5. 424-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) მიღებულია თუ არა ზომები წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის, შესაძლო ქონების ჩამორთმევის ან საპროცესო კონფისკაციის უზრუნველსაყოფად;“.

6. 425-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სამოქალაქო სარჩელის, საპროცესო კონფისკაციის ან ქონების ჩამორთმევის უზრუნველყოფის ზომას;“.

7. 426-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. როდესაც გამოძიებულს არ მიუღია ზომები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების, შესაძლო საპროცესო კონფისკაციის ან ქონების ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, თუ ასეთ ზომებს უშუალოდ სასამართლო ვერ მიიღებს, მოსამართლე (სასამართლო) დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაუბრუნებლად თავისი დადგენილებით (განჩინებით) ავალებს სათანადო ორგანოს განახორციელოს უზრუნველყოფის ჯეროვანი ღონისძიებანი.“.

8. 427-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. როდესაც არსებობს ამ კოდექსის 28-ე მუხლით დადგენილი საფუძველი სასამართლო განმწესრიგებულ სხდომაზე წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთანავე, სასამართლო აუქმებს გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებას, აგრეთვე სამოქალაქო სარჩელის, შესაძლო საპროცესო კონფისკაციის ან ქონების ჩამორთმევის უზრუნველყოფის ზომებს და წყვეტს ნივთიერი მტკიცებულებების საკითხს.“.

9. 498-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) გასაუქმებელია თუ არა სამოქალაქო სარჩელის, შესაძლო საპროცესო კონფისკაციის ან ქონების ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები;“.

10. 509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) ქონების ჩამორთმევის საკითხის გადაწყვეტა.“.

11. 511-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) გადაწყვეტილება შესაძლო საპროცესო კონფისკაციის ან ქონების ჩამორთმევის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების შესახებ, თუ ასეთი ღონისძიება განხორციელდა;“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი